საქართველოს მთავრობის განკარგულება

№560 2017 წლის 23 მარტი ქ. თბილისი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (ს/კ: 404401438) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად - 2645 (ორი ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარად, გადასცეს ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის - 2645 (ორი ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობას, „Clean Energy Invest As"-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას" შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული შუახევის ჰიდროელექტროსადგურის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი N1

N	მისამართი	დანიშნულება	მიწის ფართი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	მუნიციპალიტეტი ხულო, სოფელი დიდაჭარა	არასასოფლო-სამეურნეო	286	23.03.33.058
2	მუნიციპალიტეტი ხულო, სოფელი დიდაჭარა	არასასოფლო-სამეურნეო	707	23.03.33.055
3	მუნიციპალიტეტი ხულო, სოფელი დიდაჭარა (მდინარე)	არასასოფლო-სამეურნეო	3096	23.03.33.050
4	მუნიციპალიტეტი ხულო, სოფელი დიდაჭარა	არასასოფლო-სამეურნეო	578	23.03.33.056
5	მუნიციპალიტეტი ხულო, სოფელი დიდაჭარა	არასასოფლო-სამეურნეო	315	23.03.33.057
6	მუნიციპალიტეტი ხულო, სოფელი დიდაჭარა	არასასოფლო-სამეურნეო	811	23.03.33.059